საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2154/01
10/03/2021

2154-01-2-202103101204

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს
მის: ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის №12
ელ.ფოსტა: Giasopadze@georoad.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 19 თებერვლის N 2948 წერილი, რომელიც ეხება აბაშის მუნიციპალიტეტში, სოფ. გაღმა კოდორში, მდ. რიონზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საპროექტო ავარიული უბანი მდებარეობს აბაშის მუნიციპალიტეტის სოფ. გულეიკარში, თუმცა წარმოდგენილ საინფორმაციო ცხრილში საქმიანობის განხორციელების ადგილად მითითებულია სოფ. გაღმა კოდორი. მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო მონაკვეთი წარმოადგენს სოფ. კეთილარის ტერიტორიას, შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი კოორდინატებისა და shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია ნაწილობრივ ემთხვევა თქვენ მიერ 2019 წლის 2 აპრილის სკრინინგის განცხადებით (წერილი N4942) წარმოდგენილ ტერიტორიას, რაზეც „აბაშის მუნიციპალიტეტში სოფ. გაღმა კოდორში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მდ. რიონის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 აპრილის N 2-358 ბრძანებით გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება.

ამასთან, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- განცხადებაში აღნიშნულია, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი სამშენებლო ობიექტიდან დაშორებულია 0,3 კმ-ით. მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საპროექტო ობიექტიდან დაახლოებით 125 მეტრის დაშორებით. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე იქტიოფაუნაზე ზემოქმედების შესახებ;

- ნაპირსამაგრი ნაგებობის შესაფასებლად, საჭიროა წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია მდ. რიონის წყლის მაქსიმალური ხარჯისა და კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმის შესახებ, **გამოყენებული ფორმულების მითითებით,** ასევე თანდართულ ჰიდროლოგიურ ინფორმაციაში მოცემული უნდა იქნეს გაზომვებისა და გაანგარიშებების დროს მიღებული და გამოყენებული ჰიდრავლიკური ელემენტების პარამეტრები ცხრილის სახით;
- სკრინინგის განცხადებაში (გვ. 4) აღნიშნულია, რომ „ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში არ წარმოიქმნება ნარჩენები“ და „საქმიანობის პროცესში არასამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა არ არის მოსალოდნელი“, თუმცა იმავე გვერდზე განხილულია სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის საკითხები. აღნიშნული ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმილი ნარჩენების სახეობებისა და მათი მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელობა იქნება დაბალი, თუმცა არაა მოცემული ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფონური მდგომარეობისა და იმ საქმიანობების შესახებ, რასთან მიმართებითაც დაგეგმილ პროექტს შეიძლება ჰქონდეს კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

დანართი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 30 აპრილის N 2-358 ბრძანება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე